– დონ ხუან კარლოს I სათავეში, რომელსაც მხარს უმშვენებს ასევე განათლებული, სათნო და უაღრესად სიმპათიური დედოფალი – დონნა სოფია, საბერძნეთის უკანასკნელი მეფის კონსტანტინეს და.

* * *

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პატივცემულ ავტორებს სწორედ ამგვარი რეფორმატორული გზა და სწორედ ამგვარი მეფე-დედოფალი ჰყავდათ მხედველობაში, როცა ჩვენ – უთაებოლო "პოლიტიკური" ქარიშხლების, უაზრო სამხედრო ავანტიურების, მავანთა მრავალწლიანი ამბიციური ლაყბობის უსასრულო პერიპეტიებით ტვინგადაღლილებს არარსებული კონსტიტუციური მონარქიის "აღდგენას" /?!/ გვთავაზობდნენ. მაგრამ სადაა ან ასეთი დიქტატორი, ან ასეთი კანდიდატი მეფობისა?

კარგი იქნებოდა ამასთან ერთად, თუ ისინი გაგვანდობდნენ ჩვენ, უბრალო მოკვდავთ – მაინც ვის გაიაზრებენ საქართველოს მომავალ მეფედ, რამეთუ საქართველოს გარეთ მცხოვრები არცერთი წარმომადგენელი ბაგრატიონთა ტრადიციული დინასტიიდან არა თუ მეფედ, უბრალო მინისტრადაც არ უქნია მამაზეციერს! ხოლო სამეფო ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე – ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონი, უნიჭიერესი პიროვნების – პეტრე გრუზინსკის ვაჟი, რომელსაც კრილოვის ქუჩის ბავშვები, შორეულ 30-40-იან წლებში, ხშირად კუდში დავდევდით მისი საოცრად ლამაზი, თმაშეკერცხლილი იერისა და ცნობილი ვაჟკაცობის გამო, არ ვიცი – არის თუ არა მზად იტვირთოს ეს უმძიმესი მისია; ისიც – როდემდე უნდა ელოდეს, როდის მიიწვევენ ტახტის დასაკავებლად პატივცემული ავტორები და მათი თანამოაზრენი?

ან ეგებ ის მაინც გვამცნონ ჩვენ – პრეზიდენტობის უამრავ მოსურნეთა დაუსრულებელი, დაბოღმილი, გულისამრევი ფუსფუსით შეღონებულ მაყურებელთ, რომელი ახალი დინასტიის წარმომადგენელი ჰყავთ მათ მხედველობაში მომავალ, მკვდრეთით აღმდგარ ტახტზე აღსაზევებლად?

ნოდარ კიკვაძე

ფანტასმაგორია ქვეყნის გადასარჩენად?

(რეპლიკა სტატიის «გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოს მომავალის» გამო)

თბილისი
2003

რედაქტორი: პროფ. *ვაჟა კეშელავა*

რეცენზენტები: პროფ. *დავით კაციტაძე*
დოც. *ბაკურ ბაქრაძე*

© ნ. კიკვაძე, 2003
© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2003

მოახლოებულმა საპარლამენტო და შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნებმა მკვეთრად დაძაბა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში, სამწუხაროდ – უარყოფითი მუხტით. ქვეყანა, ერი, რომლის კეთილდღეობისა და კეთილგანწყობისათვის ზრუნავს თითქოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული 161 (?!) პარტია და პოლიტიკური გაერთიანება, გაოგნებული, ხშირად დამშეულიც კი შესცქერის აზრთა და შეგონებათა იმ ბაკქანალიას, რომელსაც ესოდენ მგზნებარედ აფრქვევენ მაყურებელთა და მსმენელთა წინაშე რეალურ საქმიანობაში ხელმოცარული „ვაი-სპეციალისტები" თუ საერთოდ გაავებული მოლაყბენი, რომელთაც მხოლოდ ესღა დარჩენიათ თავსარჩენ საქმედ. როგორ არ მოვიგონოთ ასეთ ვითარებაში სახელგანთქმული ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის ბრწყინვალე ფორმულა პარტიათა შესახებ: „პარტია – ესაა როცა უმუშევრები (Arbeitslosen) ორგანიზებული არიან უსაქმურთა (Arbeitssheuen) მიერ" [1]

ცხადია, რომ გაოგნებულ ერს ერთადერთ მოძღვრად, ჭეშმარიტ გზამკვლევად საკუთარი ინტელიგენცია, მეცნიერებისა და კულტურის კორიფენი წარმოუდგენია, რომელთაც იგი სასოებით ზრდიდა ათეული წლების განმავლობაში (თვით ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი!) და რომელნიც, საყოველთაო შეჯირვების ჟამს, ვალდებული არიან კიდეც უჩვენონ მას გზა – გაცისკროვნებული ტაძრისაკენ.

ამგვარი თავსატეხი ამოცანის გადაჭრას მიუძღვნეს უთუოდ ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული თავიანთი პრობლემური წერილი ზემოხსენებული სათაურით ორმა ცნობილმა მეცნიერმა და პოლიტოლოგმა ბატონებმა ომარ გოგიაშვილმა და ელბერდ ბატიაშვილმა [2]

კვინტესენცია ამ მრავალმხრივ საყურადღებო წერილისა ასეა გახმაურებული დასასრულს: „ერთი სიტყვით, ჩვენი ისტორია თვითონვე გვიკარნახებს ჩვენს სამომავლო გზას

და ჩვენი ვალია ძველებურად ყური არ მოვუყრუოთ მას. გეორგიევსკის ტრაქტატის გახსენებაც იმას უნდა გვასწავლიდეს, რომ ქართული სახელმწიფოს მემკვიდრეობის და ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით მოვალენი ვართ დღის წესრიგში დავსვათ კონსტიტუციური მონარქიის საკითხი... ეს იქნება ამასთან „ბედნიერი მორიგება" საქართველოს წარსულსა და მომავალს შორის" (ხაზგასმა ჩემია, ნ. კ.).

მიუხედავად გულწრფელი პატივისცემისა კოლეგების მიმართ, (ამასთან ერთად ჩემი ყოფილი შესანიშნავი სტუდენტებისაც), იძულებულად მივიჩნევ თავს, რომ განვაცხადო – ამჟამად მათ აშკარად უმტყუნა ზომიერების გრძნობამ და, ვფიქრობ, პოლიტიკურმა ალღომაც.

შკვე დასაწყისშივე საქმე გვაქვს უცნაურ გაუგებრობასთან. პატივცემული ავტორები მოგვიწოდებენ – „...ავიღოთ ამ მხრივ თუნდაც ილია. გადავხედოთ მის საპროგრამო წერილებს - „ცხოვრება და კანონი", „საპოლიტიკო მიმოხილვა"... აქ ყველგან იგი კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებასთან მიმართებაში განიხილავს გეორგიევსკის ტრაქტატსაც და რუსეთთან დაკავშირებულ მთელ პრობლემატიკასაც".

რაკიღა ეჭვი შემეპარა ილიასეული მემკვიდრეობის ჩემეულ ცოდნაში, კიდევ ერთხელ გადავიკითხე მითითებული წერილები. წერილებში „ცხოვრება და კანონი", რომლებიც 1877-1881 წლებშია დაწერილი, ილია ეხება 1864 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას საქართველოში და საჭირბოროტო სამართლებრივ პრობლემებს [3]. ვერცერთი სიტყვა გეორგიევსკის ტრაქტატისა და იმდროინდელი ვითარების ილიასეული შეფასებისა მე ამ ნაწარმოებში ვერ აღმოვაჩინე. შესაძლებელია მე ვერ მივაგენი ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტს – მადლობელი ვიქნები, თუ პატივცემული ავტორები მიმითითებენ ამის შესახებ. მით უფრო მადლობელი ვარ მათი იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ილიასეული ანალიზის გამჭრიახობასა და მართებულობაში:"... რაც უნდა მდიდარი

ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ. იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებელი ხომ არის და არის, ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა" [4, ხაზგასმა ჩემია, ნ.კ.]. ხომ არ მოგაგონებთ ეს წინასწარმეტყველური განჭვრეტა ჩვენს დუხჭირ სინამდვილეს, პატივიცემულო თანამემამულენო?

რაც შეეხება „საპოლიტიკო მიმოხილვას", ორ წერილში, რომლებიც დაწერილია 1882 წლის იანვარ-თებერვალში, ილია მიმოიხილავს პრუსია-საფრანგეთს შორის წარმოქმნილ მძაფრ პოლიტიკურ კრიზისს და ევროპულ სახელმწიფოთა, (მათ შორის რუსეთისაც), საგარეო პოლიტიკურ კოლიზიებს [5]. შეიძლება მე ვცდები და არსებობს სხვა „საპოლიტიკო მიმოხილვაც", მაგრამ ყოველ შემთხვევაში აქაც არცერთი სიტყვა არაა გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ.

გეორგიევსკის ტრაქტატისა და, საერთოდ, იმდროინდელი ვითარების გენიალური ანალიზი კი დიდმა მამამ უმადური ქართველობისა, (სწორუპოვარი ილია, ბოლოს და ბოლოს, ხომ ქართველის ხელით ნასროლმა ტყვიამ გამოასალმა წუთისოფელს!), თავის შესანიშნავ წერილში მოგვცა „ასის წლის წინათ".

აი, რას წერდა დიდი ილია 1899 წელს: „როგორც სპარსეთმა, ისეც ოსმალეთმა კარგად იცოდა, რა დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაჭერით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავე სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა...

ეს ორ-მხრივული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო. თუმცა დიდი ხანია ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი ამ აზრით ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საქართველო, ასე თუ ისე, როგორც იყო, იგერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა. წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეირჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილო-კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი...

...ამას დაურთეთ ის ამბავი, რომ ლეკნიც-კი გაუთამამდნენ უღონოდ-ქმნილ მეფეს (გიორგი XII, ნ.კ.) და, ახალციხის ფაშის წაქეზებით, ხან აქ იკლებდნენ ქვეყანას და ხან იქ. გარდა ამისა, შინ, მეფის სახლობაშიაც, ყველაფერი აწეწილი და აშლილი იყო. ცალკე ქვრივი დედოფალი დარეჯანი, ცალკე ძმები აეშალნენ, ყველანი თავის-თავისკენ იწევდნენ და მეფეს ეურჩებოდნენ...

...<u>სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსულ უბედურებისაგან</u>" [6,ხაზგასმა ჩემია, ნ. კ.].

პატივცემული ავტორები, ნაცვლად ილიასეული ანალიზისა და შეფასების გათვალსიწინებისა, არ მალავენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას გეორგიევსკის ტრაქტატისა და მისი შემდგომი შედეგების მიმართ, თითქოს უთვალავი უცხოტომელი და უცხო რჯულის მტრისაგან გაძვალტყავებულ საქართველოს <u>კონკრეტულ, იმდროინდელ ვითარებაში</u> სხვა რამ გამოსავალი ჰქონდა. მაშინდელ პოლიტიკურ ელიტას, მეფეების ერეკლესა და გიორგის ჩათვლით, ეფიქრობ, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა

იმის შესახებ, რომ შორეულ დასავლეთში ფეხზე დგებოდა უძლიერესი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის მესვეურები – ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი და მავანნი, უკვე მაშინაც კი საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრობდნენ და შორეულ მემკვიდრეთ უბარებდნენ თურმე: ჰარიქა, საქართველოს მიხედეთო, თუნდაც . XXI საუკუნეში!?

ისტორიისათვის, თუ ის მართლაც ისტორიაა და არა ლეგენდების გროვა, არ არსებობს კავშირებითი კილო – წარსულის ხსოვნა, იმდროინდელი მოვლენების აღნუსხვა ჟამთაღმწერელის საქმეა, ფრიად საპატიოც. წარსულის მოვლენების დღევანდელი გადასახედიდან შეფასება კი მოკეკლუცო არაპროფესიონალების საქმეა, მოდურ ეტიკეტს ამოფარებულ პოლიტოლოგებად რომ მოგვევლინენ დღეს მრავლად და არა ჭეშმარიტი ისტორიკოსისა.

ამიტომაც ვერასგზით ვერ დავეთანხმები აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, მიუხედავად მისი უდიდესი ავტორიტეტისა, როცა იგი, პატივცემული ავტორების მიერ მოტანილი ციტატის მიხედვით, მეფე ერეკლეს „პოლიტიკურ გულუბრყვილობაში" სდებდა ბრალს – გეორგიევსკის ტრაქტატთან და რუსეთზე ორიენტაციასთან მიმართებაში.

სულ სხვა შეფასებას აძლევს ერეკლეს მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან" [7]. „უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანება მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლმოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს"... ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდ-ბუნებოვანებისა. ეს რკინის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილია და ელდაცემულ გულიდამვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებ-

ში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თაედაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისთვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდ-ღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს".

თუ გაეკადნიერდი და მკითხველთა ყურადღება დიდი ილიას ამოდენი ციტირებით გადავღალე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთვის, დღეანდელი ენითხურო დემოკრატების გაუთაებელი და უთავბოლო ცრუპოლიტიკური ინვექტივებიდან ყურებგამოჭედილებისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანია – სად ვიპოვოთ თვალმარგალიტი ჭეშმარიტებისა, ვის უფრო ვერწმუნოთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენათა პოლიტიკურ შეფასებაში – გონიერსა და სულიერ მამას საქართველოსი, წმინდა ილია მართალს, თუ დიდ ისტორიკოსს, რომლისთვისაც აპრიორული „რუსოფობია", როგორც პატივცემული ავტორები გვამცნობენ, სამწუხაროდ სრულიადაც არ ყოფილა თურმე უცხო ხილი?

ვის ვერწმუნოთ – დიდ ილიას თუ თანამედროვე ვაიპატრიოტებს, რომელთაც ღვთაებრივი „ახალი აღთქმა" ხეირიანად არც კი გადაუფურცლავთ; რომელნიც ყველა ეკლესიის დანახვაზე პირჯვარს იწერენ, „...ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომაი და ლოცვაი, რაითა უჩუენონ კაცთა"; რომელთაც ყოველი საკუთარი ცოდვისა და ბოროტების რუსეთზე გადაბრალება, (ან პრეზიდენტზე, სხვათა შორის!) დიდ სიბრძნედ და ვაჟკაცობად მიაჩნიათ და ამავე დროს არც ახსოვთ, რა ბრძანა უფალმა ჩვენმა იესომ:

„ნუ განიკითხავთ, რაითა არა განიკითხნეთ.
რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ,
განიკითხნეთ,
და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ" [8].

ვის ვერწმუნოთ – ტელეეკრანის მოყვარულ მოკეკლუცო პოლიტოლოგებს, თუ უკვდავ რაინდს ქართული პოეზიისა ნიკოლოზ ბარათაშვილს, 1842 წელს მუხლმოდრეკილი რომ მიმართავდა მეფე ერეკლეს:

„ჟამთ-ვითარებით გარადახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყირულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყინება;
შაი ხლვის ხვირთნი, ნაცელად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვირგვერიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!"

მზად ვარ ნებისმიერი ოპონენტის არგუმენტი მოვისმინო, ერთი პირობით ოღონდ: თუ მოხვევ ღელთ ღუნიას ბრწყინვალე პოსტულატით ვიხელმძღვანელებთ „ჩვენი თავნი ჩვენვე გვეყუდნესო". „თავნი" და არა კუჭი, ან ჯიბე, რომლითაც ახლა უმეტეს წილად ხელმძღვანელობენ ხოლმე ხან უმეცარი ყელმაგარი "ორატორები", ხან მსუყე საეარძლებს მოწყურებული ახლად გამომცხვარი „პოლიტიკოსები", რომელთაც ჯერჯერობით არაფერი ხელშესახები შეუქმნიათ საკუთარი გარჯით.

მზად ვარ – საჯაროდ პატიება ვითხოვო მათგან, თუ სერიოზული არგუმენტებით დამიმტკიცებენ, შეეძლო თუ არა სამ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ დაქუცმაცებულ საქართველოს, ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოთი, რეგულარული და კარგად გაწვრთნილი ჯარისა და ძლიერ მოკავშირეთა გარეშე, გაუთაეებელ ომებსა და თავდასხმებში დაღლილ გმირ პატარა ერს გამკლავებოდა კარზე მომდგარ ორ გეელეშაპს – სუნიტურ ოსმალეთს და შიიტურ სპარსეთს, გადაერჩინა ის, რაც მისი მეობის, მისი არსებობის ქვიტკირს წარმოადგენდა - „ენა, მამული და სარწმუნოება".

ხოლო იმისათვის, რატომ უანგაროდ არ დაეხმარა რუსეთი მაშინდელ საქართველოს, დიდი თავისტეხა და ტვინის ჭყლეტა არაა საჭირო იმიტომ, რომ რუსეთი

უზარმაზარი ფეოდალური იმპერია იყო, საკუთარი ეგოისტური ინტერესებით, ისევე როგორც ყველა იმ დროინდელი დიდი ევროპული სახელმწიფო, მით უმეტეს უკიდურესად შეშფოთებული კარზე მომდგარი დიდი ფრანგული ბურჟუაზიული რევოლუციის ქარიშხალით. ნუთუ ვინმე ძეხორციელი დღეს გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ნატო-ს თუ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები მხოლოდ და მხოლოდ მაღალი, უანგარო ზოგადსაკაცობრიო იდეალებით სულდგმულობენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა კაცმოყვარეობის ქრისტიანული ლოზუნგებისათვის გააცამტვერეს სადამ ჰუსეინის რეჟიმი და თან შუამდინარეთში საკაცობრიო ცივილიზაციის ხელთუქმნელი ძეგლებიც მიაყოლეს ბაბილონსა, ნინევიასა და ბაღდადში?

ცხადია, საკამათო არაა, რომ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვა XIX საუკუნის დასაწყისში, როცა ალარც გმირი პატარა კახი იყო ცოცხალი და ალარც მისი უძლური მემკვიდრე, სამეფო გვარეულობისა და დიდგვაროვნების გაუთავებელი ინტრიგების, შურლისა და ორომტრიალის, ე.წ. „ხალხის მასების" პოლიტიკური ნების არარსებობის ვითარებაში ჭეშმარიტად ბოროტება იყო. მაგრამ „ბოროტება" „ბოროტებას" გააჩნია.

ხომ არ დადგა დრო, ბოლოს და ბოლოს, გამოკეთილად ვაღიაროთ აუცილებლობა იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გენიალური ფორმულის ლეგალიზებისა „უმცირესი ბოროტება". ამას წინათ ისტორიული სისწორე ამ ფორმულისა კიდევ ერთხელ გახმაურდა ბრწყინვალე ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მოგონებებში „სტუმრად სტალინთან":

„საჭიროდ მიაჩნია (ი.ბ. სტალინს, ნ.კ.), ბოლოში ითქვას საქართველოს არჩევანის შესახებ, რომ საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ და რთულმა საგარეო პირობებმა ბოლო მოუღეს, რომ ოსმალეთი და ერანი ყოველად მიუღებელი იყვნენ: ერანის ხელქვეშ საქართველოს ფერეიდნელობა ელოდა, ოსმალეთის ხელქვეშ – Туречина – (ფეოდალური ურთიერთობის ყველზე ბარბაროსული

ფორმა)... რომ რუსეთი (არჩევანი), მართალია ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში – უმცირესი. არაფერი გვეთქმის, საესებით სწორი შენიშვნაა" [9, ხაზგასმა ჩემია, ნ.კ.].

თუ გნებავთ – ეს პასაჟი საჯარო განსჯისათვის.

* * *

მაგრამ ეს „უვერტიურა ანტიგეორგიევსკა" პატივცემულ ავტორებს თურმე მხოლოდ იმისათვის დაჭირვებიათ, რომ „ამჯერად გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებულ (??) ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხებით, რომელიც ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური საკითხთაგანია. საქმე ეხება დღევანდელ მსოფლიოში დამკვიდრებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ აღიარებულ და ჩვენ ვიტყოდით, ყველაზე წარმატებულ (??) ფორმას – კონსტიტუციურ მონარქიას".

აი, თურმე სად ყოფილა დამარხული დიდი მურიას თავი – კონსტიტუციური მონარქიის მომხიბლავი ფანტასმაგორია XXI საუკუნის საქართველოსათვის!

უწინარეს ყოვლისა გასაოცარია, რის საფუძველზე დაასკვნეს პატივცემულმა ავტორებმა, რომ კონსტიტუციური მონარქიები თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მოწყობის „ერთ-ერთი აღიარებული და ყველაზე წარმატებული" ფორმაა?

თუ ავიღებთ თუნდაც მსოფლიოს ათ ეკონომიკურად „ყველაზე წარმატებულ ქვეყანას", მათ შორის მხოლოდ ორია კონსტიტუციური მონარქია – იაპონია და დიდი ბრიტანეთი, ისინიც მხოლოდ მესამე და მერვე ადგილზე (2002 წლის მონაცემებით). თვით ევროპაშიც კი, რომელიც „საქართველოს საბოლოო ნაესაყუდელია" ბ-ნ პრეზიდენტის განჩინებით, სახელმწიფოთა უმეტესობა, (ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში), რესპუბლიკებია და არა კონსტიტუციური მონარქიები.

რაც შეეხება სახელმწიფოებრიეი მოწყობის პოლიტიკურ ფორმას, ეგებ პატივცემულ ავტორებს, საქართველოსთან ერთად, ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებისთვისაც, თვით ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით, ერჩიათ „ყველაზე წარმატებულ" ფორმაზე გადასვლა – იქ ხომ საერთოდ არცერთი კონსტიტუციური მონარქია არაა!?

აქვე მიხდება, სამწუხაროდ, პატივცემული ავტორებისათვის მითითება, რომ მათი გაანგარიშებით მსოფლიოში არსებული 40-ზე მეტი კონსტიტუციური მონარქიიდან „უკლებლივ ყველა ცხოვრების მაღალი დონით, სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით" სრულიადაც არ გამოირჩევა - მაგალითად ბუტანი, ნეპალი, ლესოტო, სვაზილენდი და სხვა.

მთავარი საოცრება მაინც ეს როდია, არამედ ის, რომ პატივცემული ავტორები გვიმტკიცებენ: „პირველი და უმთავრესი ამ არგუმენტაციიდან ის არის, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა ქართული სახელმწიფოს განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა". გამოდის, რომ მრავალტანჯულ საქართველოს ისტორიაში ოდესღაც ყოფილა კონსტიტუციური მონარქია, ჰოი საოცრებავ, ალბათ რომელიღაც კონსტიტუციური მონარქიც, ხოლო ჩვენ, ბედოვლათმა ქართველებმა, უარეყავით ეს ყველაფერი და როცა საშუალება მოგვეცა, 1918 წლის 26 მაისს, რატომღაც უდღეური „დემოკრატიული რესპუბლიკა" დავაფუძნეთ!? [10].

ამიტომ ცოტაოდენი ისტორია – არა სასურველი და შელამაზებული, არამედ რეალური.

კონსტიტუციური მონარქიების წარმოშობა და ჩამოყალიბება წმინდა ევროპული მოვლენაა, სრულიად გარკვეული წინაპირობებით შემზადებული. არც ერთ აღმოსავლურ ქვეყანაში არავითარი ამგვარი სახელმწიფო XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისამდე საერთოდ არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. პირველი კონსტიტუციები აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისიც ევროპული გამოცდილებიდან ნასესხები და არა ამ

ქვეყნების იმანენტური განვითარებით შეპირობებული, გამოცხადდა ოსმალეთის იმპერიაში 1876 წელს (ე.წ. „მიდჰათ ფაშას კონსტიტუცია", მალე გაუქმებული პირსისხლიანი სულთანის აბდულ-ჰამიდ II მიერ), იაპონიაში – 1889 წელს, ირანში – 1906 წელს.

ხოლო „ისნის კარავის" ინციდენტი წმ. თამარის მეფობის დასაწყისში, რომელიც ზოგიერთ ნამეტნავად მონდომებულ მკვლევარს ერთგვარი პარლამენტარიზმისა და კონსტიტუციური მონარქიის პირველსახედ ეჩვენება, როგორც ცნობილია ორი დიდებული ქალბატონის ხუაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის „დიპლომატიური მისიის" შემდეგ უკვალოდ ამოიწურა და „კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა"... - როგორც აბსოლუტური მონარქი(!) „... თანადგომითა და ერთნებობითა შეიდთავე სამეფოთა დიდებულთა" [11].

კონსტიტუციური მონარქია მმართველობის მონარქიული ფორმის განსაკუთრებული სახესხვაობაა, როცა მონარქის ძალაუფლება დეკლარირებული კონსტიტუციის საფუძველზე იკვეცება არჩევითი საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერ, როცა არსებობს მონარქისგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და ა.შ. თანამედროვე კონსტიტუციური მონარქიები ორი სახესხვაობითაა წარმოდგენილი – დუალისტურითა და პარლამენტურით. პირველი მათგანი გარდამავალი საფეხურია აბსოლუტური მონარქიიდან პარლამენტურ მონარქიამდე. მონარქის სუვერენიტეტი გარკვეულ წილად შეკვეცილია კონსტიტუციით, მაგრამ მას ფორმალურად და დემოკრატიული ინსტიტუტების ისტორიული სისუსტის გამო მაინც შენარჩუნებული აქვს ფართო საძალუფლებო პრეროგატივები. მთავრობები, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრიათ მონარქისა და პარლამენტის წინაშე, ფაქტობრივად მონარქს ემორჩილებიან. ამ ყაიდის კონსტიტუციური მონარქიებია ამჟამად მაროკო, იორდანია, ტაილანდი, მალაიზია და ნეპალი.

პარლამენტურ მონარქიაში მონარქი მხოლოდ ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას. მთავრობა ფორმალურად და ფაქტობრივად არჩევით პარლამენტს – უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ემორჩილება, უსენაეს ორგანოს სხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ასეთია, მაგალითად, კონსტიტუციური მონარქიის პარლამენტური სახესხვაობის კლასიკური ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი.

ვიდრე სახელმწიფოებრივი მოწყობის ევროპული და შემდგომ მსოფლიო ეტალონის თანამედროვე სტატუსამდე მიაღწევდა, ინგლისის სამეფომ, (დიდი ბრიტანეთი იგი მხოლოდ 1707 წლიდან გახდა), ფათერაკებითა და კატაკლიზმებით აღსავსე მძიმე გზა განელო.

პირველი აგური (თუ ლოდი) ამ გზაზე, რომელმაც თითქოს შეძლო შეეზღუდა მეფეთა თვითნებობა ქვეშევრდომთა მიმართ, „თავისუფლების დიდი ქარტია" იყო – "Magna carta libertatum," 1215 წლის ივნისში რომ გამოსძალეს მეფე ჯონ უმიწაწყალოს ინგლისელმა ბარონებმა. მაგრამ ეს დოკუმენტი სრულიადაც არ იყო იმ ხასიათისა, როგორადაც იგი 1994 წელს თბილისში დაარსებულმა „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა" მონათლა, (არ ვიცი არსებობს თუ არა, ან რას მოისაქმებს ამ პომპეზური სახელწოდების ინსტიტუტი დღეს) – ერთ-ერთ „დემოკრატიის კლასიკურ დოკუმენტად" [12].

თუ დიდი ბრიტანეთის ლეგენდარულ პრემიერ-მინისტრსა და საკმაოდ კარგ პუბლიცისტს უინსტონ ჩერჩილს ვენდობით „ქარტიაში ნახსენებიც კი არაა არა მარტო პარლამენტი, არამედ ვისიმე წარმომადგენლობაც, გარდა ბარონებისა. მომავლის დიდმა ლოზუნგებმა აქ ვერ იპოვეს ადგილი. სინამდვილეში „ქარტია" – ესაა ფეოდალური საჩიერების დაკმაყოფილება" [13].

თავის ცნობილ წიგნში „ბრიტანეთის დაბადება" უინსტონ ჩერჩილი ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ქარტიაში" არაა დემოკრატიული მმართველობის ან ადამიანის უფლებათა შესახებ რაიმე მითითება, რომ იგი კონსტიტუციური

დოქტრინის დეკლარაცია როდია, არამედ ფეოდალური სისტემის მიმდინარე ბოროტმოქმედებათა გამოსწორების სახელმძღვანელო.

ეს მაგალითიც კი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რაოდენ ფრთხილად უნდა შევაფასოთ არა მარტო საკუთარი ქვეყნის წარსულის მოვლენები, არამედ, და განსაკუთრებით, უცხოეთის ქვეყნებისა.

სამეფო დინასტიის განშტოებათა და ფეოდალური დიდგვაროვნების დაუსრულებელ შუღლსა და შეჯახებებს ინგლისში „ალისფერი და თეთრი ვარდების" – იორკებისა და ლანკასტერების გვარეულობათა სისხლიანმა 30-წლიანმა ომმა (1455-1485 წ.წ.) მოუღო ბოლო.

1485 წლის 22 აგვისტოს, ბოსუორტთან ბრძოლაში სიცოცხლეს გამოესალმა უკანასკნელი იორკი - „ბოროტების გენია" რიჩარდ III. ტახტი დაიკავა ჰენრი VII, გრაფმა რიჩმონდმა და ინგლისში თუდორთა დინასტიის აბსოლუტური მონარქია დამყარდა, როდესაც ქვეყანას რკინის ხელით მართავდნენ საქვეყნოდ ცნობილი მეფენი ჰენრი VIII და ელიზაბეთ I.

სწორედ ჰენრი VIII ინიციატივით მოხდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ინგლისის ისტორიაში. (ისევე, როგორც რელიგიური ომების შედეგად ევროპის რიგ სხვა ქვეყანაშიც). 1532 წელს ჩატარდა ე.წ. „სამეფო რეფორმაცია" და 1534 წელს მიღებული იქნა „კანონი სუპრემაციის შესახებ", რომლის ძალითაც თვით მეფემ იტვირთა „ანგლიკანიზირებული" ეკლესიის მთავარეპისკოპოსობა, აქამდე რომის პაპების მიერ მართული კათოლიკური ეკლესიის უზარმაზარი საეკლესიო ქონების სეკულარიზაციით. ინგლისისათვის ამ ფაქტს უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მან შეკვეცა რელიგიური იდეოლოგიის აქამდე ძლიერი გავლენა პოლიტიკაზე და გზა გაუხსნა საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიზაციას. ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესის წინსვლა უშუალოდ უკავშირდება ამ დროიდან სახელმწიფოებრივ-მონარქიულ პოლიტიკას, სტაბილურ პოლიტიკურ რეჟიმს და არა კათოლიკურ ეკე-

ლესიის გლობალიზებული იდეოლოგიის დახავსებულ დოგმებს (ეს პროცესები ამა თუ იმ ზომით დამახასიათებელი იყო ნიდერლანდებისა და საფრანგეთისათვისაც) [14].

ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ინგლისში, (და საერთოდ ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში), იმდროინდელი ეკონომიკის სწრაფ წინსვლას, უფრო პროგრესული სოციალური ფენების მომძლავრებას, რომლებიც უკვე ადრეფეოდალურ პერიოდში წარმოადგენდნენ შესამჩნევს ძალას – თავისუფალი გლეხები, ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლები და ახლა უკვე ე.წ. „ჯენტრი" - „ახალი აზნაურობა" და გამდიდრებული საქალაქო ბურჟუაზია.

სწორედ ამ ძალთა ეკონომიკური ძლიერებისა და ანტიაბსოლუტისტური პოლიტიკური პრეტენზიების მკვეთრად აღმასვლამ განაპირობა XVII საუკუნის 40-იანი წლების უმძაფრესი კონფლიქტი მათსა და სტიუარტების ახალი დინასტიის მეორე წარმომადგენელს ჩარლზ I შორის, რაც ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთი ადრეული ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებით დამთავრდა და 1649 წლის 30 იანვარს მაშინ გაუგონარი მოულენით – პარლამენტის მიერ დანიშნული ტრიბუნალის განაჩენით მირონცხებული მეფისათვის თავის მოკვეთით.

ოღონდ რევოლუციის ერთ-ერთი ბელადისა და მისი არმიის მთავარსარდლის, დიდი პოლიტიკოსის ოლივერ კრომველის პროტექტორატმა (1653-1658 წ.წ.) მაინც ვერ შეძლო საბოლოოდ დაემკვიდრებინა, ძველი და ახალი კლასების მძაფრი კონფრონტაციის პირობებში, 1649 წელს გამოცხადებული რესპუბლიკა (Commonwealth) და 1660 წლის 9 მაისს ინგლისში აღდგა მეფობის ინსტიტუტი – სამეფო ტახტზე მოწვეულ იქნა აქამდე ემიგრაციაში მაწანწალა უელსის პრინცი ჩარლზი. მალე „ტკბილ ცხოვრებას" მონატრებულ მეფეს, ლამაზმანებზე გადაყოლილს, მისი თავქარიანობისა ფუქსავატური მმართველობის გამო ინგლისელებმა „მხიარული მეფე" შეარქვეს.

ჩარლზ II, საფრანგეთის აბსოლუტური მონარქის ლუი XIV უზარმაზარი სუბსიდიის საფასურად დადებული საიდუმლო ხელშეკრულების გამო, შეეცადა ფეოდალური

რეჟიმისა და კათოლიციზმის პრეროგატივების აღორძინებას. მაგრამ ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ძლიერმა ახალმა პოლიტიკურმა ძალებმა შეძლეს პარლამენტის მეშვეობით მკვეთრად „დაემუხრუჭებინათ" მეფის „ინიციატივები". 1673 წელს პარლამენტმა მიიღო ე.წ. „ფიცის აქტი" – „Test act", რომელიც უკრძალავდა კათოლიკეებსა და „არაქრისტიანებს" – ანგლიკანური აღსარების გარეშე სახელმწიფო სამსახურში პოსტების დაკავებას. 1679 წელს პარლამენტის მიერვე მიღებულ იქნა განთქმული „ჰაბეას კორპუს აქტი", - „Habeas Corpus Act", რომელმაც იავარჰყო მეფისა და მისი ადმინისტრაციის სამართლებრივი თვითნებობა და დაადგინა, რომ დაპატიმრებათა კანონიერება განხილული უნდა ყოფილიყო სასამართლოში და კონტრასიგნებული მოსამართლის მიერ. „აქტის" თანახმად შესაძლებელი ხდებოდა პატიმრის გათავისუფლება თაღებით დიდი ფულადი საწინდარის საფუძველზე.

1685 წლის თებერვალში გარდაცვლილი ჩარლზ II მისმა უმცროსმა ძმამ – იორკის ჰერცოგმა, უხეშმა, წინდაუხედავმა კათოლიკემ ჯეიმს II შეცვალა. მისმა უკიდურესად რეაქციულმა პოლიტიკამ, პარლამენტის დათხოვნამ, 40 ათასიანი მუდმივი არმიის შექმნამ და კათოლიციზმის აღდგენის დაუფარავმა ცდამ თვით კონსერვატორების ("ტორების") სერიოზული შეშფოთება გამოიწვია და მათი დაკავშირება რევოლუციის შემდეგ აღზევებულ ახალ ძალებთან, რომელთაც პარლამენტში ლიბერალების პარტია ("ვიგები") წარმოადგენდა.

1688 წლის 30 ივნისს მათ ერთად მიმართეს ჰოლანდიის შტატჰალტერს, მეფის სიძეს პრინც ვილჰელმ ორანელს არმიით ჩამოსულიყო ინგლისში მეუღლესთან – ჯეიმს II ქალიშვილთან პრინცესა მერისთან ერთად და დაეკავებინათ ინგლისის მეფეთა ტახტი. ყველასგან მიტოვებული ჯეიმს II იძულებული გახდა საფრანგეთში გაქცეულიყო. 1689 წლის იანვარში სპეციალურად მოწვეულმა პარლამენტ-კონვენტმა ოფიციალურად აირჩია პრინცი ორანელი და პრინცესა მერი მეფე-დედოფლად - უილიამ III და მერი II სახელდებით.

მშვიდობიანი გადატრიალება მეხოტბე ისტორიკოსებმა „დიად რევოლუციად“ მონათლეს. ცხადია, მასში არაფერი რევოლუციური, და მით უმეტეს, “დიადი” არ ყოფილა, თუმცა მან მართლაც დაასრულა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუცია.

1689 წლის 13 თებერვალს პარლამენტ-კონვენტმა საზეიმოდ გამოაცხადა „დეკლარაცია უფლებათა შესახებ“, რომელმაც შემოდგომაზე კანონის სახე მიიღო – „ბილი უფლებათა შესახებ“, „Bill of Right“. ეს იყო პირველი კონსტიტუციური აქტი, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალ კონსტრუქციას, რომელსაც საბოლოოდ უნდა გამოერიცხა და მართლაც გამორიცხა აბსოლუტიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა ინგლისში.

„ბილი უფლებათა შესახებ“ შეიცავდა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ გარანტიებს მმართველობის ახალი სისტემისა: მეფეს აღარ ჰქონდა პარლამენტის მიერ მიღებული კანონების შეჩერების ან გაუქმების უფლება, / სუსპენზიური და აბსოლუტური ვეტოს უფლება/; მას წაერთვა უფლება დაედგინა და აეკრიფა რაიმე გადასახადები; ჰყოლოდა მუდმივი არმია პარლამენტის ნებართვის გარეშე; ცხადდებოდა პარლამენტის არჩევნების თავისუფლება და მისი რეგულარული რეჟიმი; ცხადდებოდა სიტყვის თავისუფლება პარლამენტის დეპუტატებისათვის /მხოლოდ/; გაფართოედა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებები და ა.შ. [15].

კონსტიტუციური მონარქიის ჩამოყალიბება, ცხადია, უმტკივნეულო პროცესი როდი იყო. ბრძოლა პარლამენტსა და მეფეებს, პარლამენტსა და მთავრობებს, პარლამენტის პარტიებს შორის შემდგომ საუკუნეებშიც ხდებოდა – მაგრამ კონსტიტუციური წყობილების საფუძველი ურყევი რჩებოდა. ამგვარმა პოლიტიკურმა სტაბილურობამ და სწრაფმა მეურნეობრივმა აღმავლობამ განაპირობა ბრიტანეთის ბატონობა ზღვებსა და ოკეანეებზე; ჩამოაყალიბა, უპირატესად უხეში ძალმომრეობის ხარჯზე, მისი გიგანტური კოლონიური იმპერია – უზომო

გამდიდრების წყარო; გადააქცია დიდი ბრიტანეთი „მსოფლიო სამჭედლოდ“ მთელი XVIII – XIX საუკუნეების მსელელობაში.

დიდი ბრიტანეთი საკმაოდ დიდხანს რჩებოდა პოლიტიკური დემოკრატიზმის ეულ ქვაკუთხედად ევროპაში. აბსოლუტისტურმა რეჟიმებმა აქ მხოლოდ 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციების ახალი ქარიშხალის შემდეგ იცვალეს სახე კონსტიტუციურ მონარქიებად პრუსიაში, ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში და ა.შ. – გარდა რუსეთისა და ოსმალეთის დრომოჭმული იმპერიებისა.

სწორედ ისტორიულ მოელენათა სოლიდურმა ანალიზმა, მათი მსელელობის ლოგიკის გააზრებამ მისცა უფლება პროფესორ ჯინ კირკპატრიკს, ცნობილ ამერიკელ კონსერვატორ პოლიტოლოგს, (ამ ცნების არა გატრისავებული ქართული, არამედ ჭეშმარიტი მნიშვნელობით), აშშ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს 1981 – 1984 წლებში, გაეკეთებინა უტყუარი დასკვნა:

“ ...დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა განსაკუთრებით ძნელია /აქცენტი ქ-ნ კირპატრიკისაა, ნ.კ. / ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ეკონომიკისა და ცხოვრების გარკვეული დონე, მოსახლეობის საყოველთაო განათლება, განვითარებული საშუალო კლასი, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, პოლიტიკურ მოღვაწეთა უნარი და მზადყოფნა კომპრომისებისადმი, პოლიტიკაში ძალადობაზე უარის თქმა, ლიდერების უნარი შეურიგდნენ პოლიტიკურ მარცხს და მრავალი სხვა რამ. ზოგადად ეს შეიძლება გამოიხატოს “პოლიტიკური კულტურის” ცნებით.

იმ მცირერიცხოვან ქვეყნებში, სადაც დემოკრატია არსებობს, მისი გზა ხანგრძლივ “მოსამზადებელ პერიოდზე” გადიოდა, როდესაც პოლიტიკური ლიდერები ეჩვეოდნენ დისიდენტებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ოპოზიციასთან მშვიდობიან თანაცხოვრებას. ოპოზიცია კი შეეგუა აზრს, რომ არსებული მთავრობის დამარცხება შეიძლება პოლიტიკური ბრძოლის გზით და იგი არ უნდა იქნეს

დამხობილი ძალით. ხალხმა, თავის მხრივ, ისწავლა ზემოქმედება მთავრობაზე და იგრძნო ამ მოღვაწეობის შედეგი. დემოკრატიისაკენ მიმავალი ასეთი ხანგრძლივი გზის მაგალითებად გამოდგებიან ინგლისი, აშშ, საფრანგეთი და რიგი სხვა ქვეყნებისა. მათ ამას ათწლეულები, ზოგჯერ კი საუკუნეებიც მოანდომეს" /ხაზგასმა ჩემია, ნ.კ/ [16].

ეს მოსაზრება, სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1991 წელს გავაცანი ქართულ საზოგადოებრიობას სტატიაში "დიქტატურა თუ დემოკრატია?"[17]. სამწუხაროდ – მაშინ სრულიად უშედეგოდ!

ხოლო აბსოლუტისტური მონარქიიდან /ე.ი. პოლიტიკური დიქტატურიდან/ კონსტიტუციურ მონარქიაზე /ე.ი. პოლიტიკური დემოკრატიის პირველსახეზე/ მშვიდობიანი გადასვლის ერთადერთი მაგალითი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მხოლოდ XX საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა – ფრანკისტულ ესპანეთში. თუ გნებავთ, როგორც ისტორიული პარადოქსი. კაცობრიობის ურთულეს ისტორიას ასეთი პარადოქსებიც ახასიათებს.

1931 წლის აპრილში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო ბურბონთა დინასტიის მეფობა ესპანეთში და რესპუბლიკა გამოაცხადა. მეფე ალფონსო XIII ემიგრაციაში წავიდა და 1941 წელს იტალიაში გარდაიცვალა. უფლებები არარსებულ ტახტზე მან თავის უმცროს ვაჟს – ბარსელონის გრაფს დონ ხუანს უანდერძა. 1936-1939 წლების სისხლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ ესპანეთში, არც თუ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელშეწყობის გარეშე, (რომლებისთვისაც დაუშვებლად ჩანდა კიდევ ერთი, სსრ კავშირის გარდა, სოციალისტური თუ კომუნისტური სახელმწიფოს არსებობა უკვე ევროპის დასავლეთშიც), გენერალ ფრანსისკო ბაამონტე ფრანკოს პროფაშისტური დიქტატურა დამყარდა. მან, მონარქისტთა იმედების საწინააღმდეგოდ, უარი განაცხადა მონარქიის აღდგენაზე. მაშინ დონ ხუან ბარსელონელი გაემიჯნა ამ რეჟიმს, როგორც "მიუღებელს ესპანეთის ტრადიციებისათვის" [18].

1947 წლის ივნისში ესპანეთი მაინც სამეფოდ გამოცხადდა. მაგრამ დიქტატორმა ფრანკომ, რომლის მოქნილმა პოლიტიკამაც იხსნა ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებში ჩაბმისაგან, დაიტოვა უფლება – პირადად დაენიშნა ან მეფე, ან რეგენტი. 1947 წლის ივლისში მოსახლეობის უმრავლესობამ რეფერენდუმზე მოიწონა კანონი "სახელმწიფოს მეთაურის პოსტის მემკვიდრეობის შესახებ".

1948 წლის აგვისტოს ბოლოს ფრანკომ თავის იახტაზე მიიწვია გრაფი დონ ხუან ბარსელონელი და განუცხადა მას, რომ ესპანეთის ტახტის მემკვიდრეს არა მასში, არამედ მისი 10 წლის ვაჟში – ხუან კარლოსში ხედავს. ამასთან ერთად მან შესთავაზა გრაფს, გაეგზავნა ვაჟი შვილი ესპანეთში – აღზრდის დასამთავრებლად "ესპანურ ტრადიციებზე".

ჭაბუკი ტახტის მემკვიდრე, რომელიც ამ დროისათვის შვეიცარიაში, ერთ-ერთ კათოლიკურ კოლეჯში სწავლობდა, უკვე უკვე კარგად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებს, საკუთარი ესპანურის გარდა. /საერთოდ, სახელმწიფო მოღვაწისათვის, თუნდაც ერთი უცხოური ენის თავისუფალი ფლობა, თუ აუცილებელი არა, უდაოდ ფრიად სასურველია/.

ესპანეთში დაბრუნებისა და 24 ნოემბერს ყოველისშემძლე დიქტატორთან შეხვედრის შემდეგ, უკვე დონ ხუან კარლოსმა, სწავლა საშუალო სკოლის პროგრამით კერძო მასწავლებლებთან განაგრძო და აღზრდის პირველი ეტაპი 1954 წელს დაასრულა. ამის შემდეგ მან დაამთავრა შეიარაღებულ ძალთა სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და საავიაციო სასწავლებლები არმიის კაპიტნის, ფლოტის ლეიტენანტისა და ავიაციის კაპიტნის ჩინებით. მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითი სინეკურა როდი იყო, ის მართლაც ნამდვილი ესპანელი ოფიცერი გახდა, საფუძვლიანი ცოდნით, რაც არაერთხელ დაამტკიცა შემდგომ. ამასთან ერთად პრინცმა ფართო ჰუმანიტარული განათლებაც მიიღო მადრიდის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სამართლის ფაკულტეტზე. დონ ხუან კარლოსი ხშირად

ხვდებოდა გენერალსიმუს ფრანკოს, რომელიც დიდხანს ესაუბრებოდა ხოლმე პრინცს. იგი იგონებს, რომ "კაუდილიო უაღრესად თავაზიანად, ხშირად გულითადად ეპყრობოდა მას".

1969 წლის 22 ივლისს ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) წინაშე მან ფიცი დადო, როგორც სახელმწიფოს მეთაურის მემკვიდრემ მეფის რანგში. რა თქმა უნდა, ფრანკო იმედოვნებდა, რომ ამგვარად აღზრდილი პრინცი განაგრძობდა ესპანეთის მართვას მის მიერ ჩამოყალიბებული, ფრანკისტული ტრადიციებისა და კანონების ჩარჩოებში. მთელი ამ ხნის განმავლობაში სამეფო ტახტის აღიარებულ მემკვიდრეს უხდებოდა ეთამაშა ინდიფერენტული, განყენებული პიროვნების არც თუ ადვილი როლი, რამაც მას ბევრი ესპანელის თვალში ჭკუასუსტი ახალგაზრდის იმიჯი შეუქმნა. მან მალე დაამტკიცა, რომ ისინი საფუძვლიანად ცდებოდნენ.

1975 წლის 22 ნოემბერს, ფრანკოს გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ, 37 წლის დონ ხუან კარლოსს კიდევ ერთხელ მოუხდა ფიცის ცერემონიის გამეორება – უკვე როგორც ესპანეთის მეფეს ხუან კარლოს პირველს [19].

ამდენად, ჩვენს საზოგადოებაში გამჯდარი, ხელოვნურად დანერგილი პოსტულატი, რომ უკლებლივ ყველა დიქტატორი ან პარანოიკია, ან კაცთმოძულე მხეცი, ყოველთვის როდი გვეელინება უმაღლესი რანგის ჭეშმარიტებად. ადამიანთა მოდგმის ისტორია ძალზე რთული, წინააღმდეგობებითა და პარადოქსებით აღსავსე პროცესია, რომ მასზე რაღაც აკვიატებული წარმოდგენებით ვიაზროვნოთ და არა გარკვეული, კონკრეტული ვითარებების საღი შეფასების ექსტრაპოლაციით ჩვენს აზროვნებაში, რათა მოგონილი ტრაფარეტები არ გაეიხადოთ სახელმძღვანელო დოგმებად – როგორც ეს ერთ დროს გვემართებოდა ხოლმე.

თავის პირველსავე გამოსვლაში კორტესების წინაშე ახალგაზრდა მეფემ, მოულოდნელად, რამდენიმეჯერ გაუსვა ხაზი ტერმინს "თანხმობა", როცა გამოაცხადა, რომ "ესპანეთში დაიწყო ახალი ეტაპი თავისუფალ, თანამედროვე საზოგადოებაზე გადასვლისა". მან კარგად იცოდა, რომ ამგვარი "მშვიდობიანი ტრანსფორმაცია" სრულიადაც

არ იყო ადვილი საქმე, რადგანაც ხელისუფლების რეალურ სადაეებთან რენომირებული ორთოდოქსალური ფრანკისტები იდგნენ, რომლებიც არც აპირებდნენ ფრანკისტული ტრადიციებისა და თავისი პრივილეგიების დათმობას.

უპირველესად ყოვლისა, ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შედეგად, დონ ხუან კარლოსმა შეძლო მიეღწია იმისათვის, რომ კორტესებისა და სამეფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, /ფრანკისტული ტრადიციით ეს პოსტები ერთ პიროვნებას ეკავა/, არჩეულ იქნა მისი აღმზრდელი და მასწავლებელი – მადრიდის უნივერსიტეტის პოლიტიკური სამართლის პროფესორი ტორკუატო ფერნანდეს-მირანდა. ახალგაზრდა მეფის მეორე დიდი მიღწევა იყო ის, რომ მან 1976 წლის ივლისში შეძლო მინისტრთა კაბინეტის თავჯდომარის პოსტზე დანიშნულიყო მისი კანდიდატი – ადოლფო სუარესი. სუარესს წინა მთავრობაში ეკავა მინისტრ–"ეროვნული მოძრაობის" ფრანკისტული პარტიის გენერალური მდივნის პოსტი, რამაც მას ერთგვარი ლეგიტიმურობა შესძინა ფრანკისტული ბონზების თვალში.

ორი ბრწყინვალე, მოქნილი პოლიტიკოსის დახმარებით მეფემ შეძლო 1977 წლის ზაფხულში ჩაეტარებინა რამდენიმე რეფორმა, რომლებმაც მოშალეს ფრანკიზმის დრომოჭმული სტრუქტურები და გზა გაუხსნეს დემოკრატიულ გარდაქმნებს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო კანონპროექტი კონსტიტუციური რეფორმის შესახებ. ამასთან ერთად მეფემ თითქმის დეტექტიური მისიის განხორციელებით შეძლო მიეღწია შეთანხმებისათვის ესპანეთში დაბრუნებულ კომპარტიის ლეგენდარულ ლიდერთან – სანტიაგო კარილიოსთან იმის თაობაზე, რომ კომუნისტები აღარ მიმართავდნენ მანიფესტაციებსა და სხვა დესტრუქციულ ღონისძიებებს ულტრადემოკრატიული, მაგრამ მაშინდელ ვითარებაში უპერსპექტივო რეფორმების ჩასატარებლად.

1977 წლის ოქტომბერში ხელმოწერილ იქნა ე.წ. "მონკლოას პაქტი" – შეთანხმება კორტესებში წარმოდგენილ ყველა პარტიასა და მთავრობას შორის ურთიერთ

დათმობების შესახებ "ეროვნული შერიგებისა" და წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის გზის გახსნის მიზნით. მომდევნო წლის დეკემბერში მიღებულ იქნა საყოველთაო რეფერენდუმზე მოწონებული დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტი, რომელმაც ტრიუმფალური აკორდით დაამთავრა ფრანკისტული დიქტატურის რეჟიმის არსებობა.

ცხადია, ძველ, "დაბეტონებულ" ფრანკისტებს სძულდათ ეს "გადახვევა" მათი აზრით ერთადერთი სწორი გზიდან. 1981 წლის 23 თებერვალს არმიის კონსერვატულმა ოფიცრებმა უკანასკნელ ხერხს მიმართეს, რათა გადაერჩინათ ფრანკისტული რეჟიმი – სამხედრო პუტჩს, როცა პარლამენტში შეჭრილმა ჟანდარმებმა ვიცე-პოლკოვნიკ ტეჰეროს მეთაურობით 350 დეპუტატი და მინისტრი "დააპატიმრეს". სწორედ აქ მკაფიოდ იჩინა თავი დონ ხუან კარლოსის ნებისყოფამ, გამბედაობამ და სამხედრო აღზრდის მნიშვნელობამ – მეფემ სამხედრო ფორმაში, როგორც ქვეყნის უმაღლესმა სარდალმა, ღამით ტელევიზიის ეკრანიდან აუწყა ესპანელ ერს, რომ მან უბრძანა ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალს დაეცვათ კონსტიტუციური წესრიგი, რომ მონარქია კატეგორიული იქნება და არ დაუშვებს არავის მხრიდან დემოკრატიზაციის პროცესის ხელყოფას.

ხოსე ლუის დე ვილალიონგა, მარკიზი დე კასტელველი თავის უაღრესად საინტერესო წიგნში "მეფე. საუბრები ესპანეთის მეფე დონ ხუან კარლოს I-თან" წერს, რომ იმ ღამიდან – "მილიონობით ესპანელისათვის დონ ხუან კარლოსი აღარ იყო გენერალ ფრანკოს მიერ დანიშნული მემკვიდრე "მეფის რანგში". ის უკვე ესპანეთის ჭეშმარიტი მეფე გახდა" [20].

ხალხისა და ლოიალური შეიარაღებული ძალების მხარდაჭერამ უზრუნველყო დემოკრატიული გარდაქმნების უპირობო მხარდაჭერა და პუტჩი სამარცხვინოდ ჩაიშალა. ესპანეთი განუხრელად დაადგა დემოკრატიული განვითარების, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური აღმავლობის გზას ახალგაზრდა, ყოველმხრივ განათლებული, თავდაჭერილი და შესანიშნავი მეოჯახე მონარქის

თუ მეპატიება მე, საქართველოს რიგით მოქალაქეს, დასასრულ მაინც დიდი ილიას სტრიქონებს შევახსენებდი მათ:

"მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი . . .
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,

ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს .

* * *

ბატონმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ა/წ 11 აგვისტოს ტრადიციულ რადიოინტერვიუში ზოგ-ზოგ ურწმუნო თომას ხაზგასმით მიუთითა, რომ "ჩვენ ვაშენებთ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ, თავისუფალ ქვეყანას, სადაც პრიორიტეტია ადამიანი, მისი ინტერესები, პიროვნული მისწრაფებანი" [21].

ამრიგად, პირველი ეტაპი პოლიტიკური დემოკრატიის დაფუძნებისა ჩვენ, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ასე თუ ისე – ტაატით, მტკივნეული უკანდახევებით, მძიმე წინსვლით, მაგრამ მაინც განვვლეთ და ნუთუ ახლა პატივცემულ ავტორებსა და მათ თანამოაზრეებს ამ საქართველოდან უკან – ეფემერულ „კონსტიტუციურ მონარქიაში" გადასკუპება სამთავროთა და სათავადოთა აღდგენით, თავად-აზნაურული გვარეულობების დამკვიდრებით, მათთვის მამულების ან მსუყე პენსიების გამოყოფით, „ლორდთა პალატის" დაფუძნებით პარლამენტში, გლეხკაცობისათვის კი... ერთი ან ორი უღელი ხარ-კამეჩის „გასესხებით" წარჩინებულთათვის სარჩოს შესაქმნელად დემოკრატიული მთავრობის მიერ „პრივატიზაციაში" გაცემულ მიწის ნაკვეთებზე – მართლაც ეჩვენებათ ესოდენ სანუკვარ მყოობადად XXI საუკუნის საქართველოსათვის?

გეიხსენ, უფალო, განსაცდელისგან ამისა !

წყაროები და ლიტერატურა

1. **Освальд Шпенглер.** Закат Европы, т. I. (Пер. с нем.) – Москва, 1993г., стр. 113.
2. „საქართველოს რესპუბლიკა“, №170, 30 ივნისი, 2003 წ.
3. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6. – თბილისი, 1956 წ., გვ. 7-112.
4. იქვე, გვ. 8
5. იქვე, ტ. 9. – თბილისი, 1957 წ., გვ. 63-74.
6. იქვე, ტ. 4. – თბილისი, 1955 წ., გვ. 208-210.
7. იქვე, გვ. 267.
8. „ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“, „სახარებაი მათესი“, VI, 5; VII, 1-2.
9. „საქართველოს რესპუბლიკა“, №186, 16 ივლისი, 2003 წ.
10. იხ. მაგ.: გერონტი ქიქოძე. თანამედროვის ჩანაწერები. – თბილისი, 2003 წ., გვ. 17-26; დავით კასრაძე. 1918 წელი: „ორფეხა ვირთხები“. – „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 აგვისტო, 2001 წ.
11. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება“, ტ. 11. – თბილისი, 1959 წ., გვ. 32.
12. იხ.: „დემოკრატიის კლასიკური დოკუმენტები“. – თბილისი, 1994 წ., გვ. 20-31.
13. **Уинстон Черчилль.** Рождение Британии. – (Пер. с англ.), Смоленск, 2002 г., стр. 264.
14. **«Dictionary of World History».** - Oxford, 1999, p.p. 69, 253, 261, 562 etc; **Джон Маколей Тревельян.** История Англии. От Чосера до королевы Виктории. – [Пер. с англ]. – Смоленск, 2001 г.
15. **«Всемирная история. Т.У.»** – Москва, 1958 г., стр. 19-86; **«История средних веков. Кн. 2».** – Москва, 2001 г., стр. 250-284; **“Weltgeschichte. Bd.1”.** – Leipzig, 1981, S.S. 401-412; **Чарльз Диккенс, История Англии для юных.** – (Пер. с англ.) – Москва, 2001 г., стр. 456 – 501.

16. J. Kirkpatrick. Dictatorships and double standards. – "Commentary", New York, 1979, vol. 68, №5.
17. „საქართველოს რესპუბლიკა“, №226, 19 ნოემბერი, 1991 წ.
18. Хью Томас. Гражданская война в Испании. 1931-1939 гг. – (Пер. с англ.) – Москва, 2003 г., стр. 516-571.
19. «Современная Испания». – (Колл. авторов). – Москва, 1983, стр. 5-94.
20. Хосе Луис де Вилальонга, Маркиз де Кастельвель. Король. Беседы с королём Испании доном Хуаном Карлосом Первым . – Москва, 2003 г.
21. „საქართველოს რესპუბლიკა“, №213, 12 აგვისტო, 2003 წ.

НОДАР КИКВАДЗЕ

ФАНТАСМАГОРИЯ ДЛЯ СПАСЕНИЯ СТРАНЫ?

(Реплика по поводу статьи «Георгиевский трактат и будущее грузинского государства»)

Тбилиси
2003г.

Наступившая пора парламентских, а затем и президентских выборов резко накалила экономическую, социальную и политическую обстановку в Грузии, но, к сожалению, отрицательным зарядом. Страна, народ, о процветании и благополучии которых якобы заботятся зарегистрированные Министерством Юстиции 161 (?!) партия и политические организации, оцепенев, часто и впроголодь, взирают на вакханалию идей и наставлений, пламенно изливаемых на зрителей и слушателей обанкротившимися в реальной деятельности «горе-специалистами», или же вообще озлобленными пустословами, для которых лишь это остаётся единственным способом выживания. Как же не вспомнить в такой ситуации блестящую формулу о партиях выдающегося философа Освальда Шпенглера: «Партия – это когда безработные (Arbeitslosen) организованы бездельниками (Arbeitssheuen)» [1].

Понятно, что изумлённая нация своего единственного наставника, истинного путеводителя видит в собственной интеллигенции, корифеев науки и культуры, которых на протяжении десятков лет она с надеждой растила (даже во времена приснопамятного коммунистического режима!), и которые в период всеобщей нужды обязаны указать ей путь - к озарённому храму.

Очевидно, разгадке такой головоломки посвятили совсем недавно свою проблемную статью, опубликованную в газете «Республика Грузия» с вышеуказанным заглавием два известных ученых и политолога – господа Омар Гогиашвили и Элберд Батиашвили [2].

Квинтэссенция этой статьи, требующий к себе серьезного внимания, в заключении озвучена так: «Одним словом, наша история сама указывает нам наш путь в будущее, а нашей обязанностью является не притворяться по-старому глухими. Вспоминая Георгиевский трактат, мы должны поучаться тому, что с точки зрения наследия грузинского государства и исторической справедливости, нашим долгом является поставить в повестку дня вопрос о конституционной

монархии... Одновременно это было бы «счастливым примирением» между прошлым и будущим Грузии» (подчеркнуто мною, Н. К.).

Несмотря на искреннее уважение к моим коллегам (к тому же и моим бывшим замечательным студентам), я вынужден заявить – на сей раз их несомненно подвело чувство умеренности и, думаю, политическое чутье.

